რედაქცია

მელიქმინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

ტფილისი მაისის 1-ს

რადგანაც რომელიმე დაწესება ანუ საქმე ვერ ხეირობს, იმიტომ, რომ საქმის წარმოებას და ჯეროვან ფეხზე დაყენებისათვის ამ დაწესებას საშუალება აკლია, მაშინ საჭიროა, ან საშუალების მოპოება; თუ კი დაწესება ამათ ღირს და ან თუ ეს შეუძლებელია, ამისთანა დაწესების მოსპობა: ტყუილ უბრალოთ, უსარგებლოთ, მცირედი რამ ხარჯის გაწევაც არ ღირს.

ეს აზრი დაბადა ჩვენში გუშინწინდელმა ცეცხლის და მისი მაქრობელი კამანდის ყურებამ, უკანასკნელი ხუთი საათის განმავლობაში, სანამდისინ ცეცხლი თავათ არ შესწყდა როდესაც ქვითკირზე და ქვსტზე მივიდა.

ცეცხლის გაჩენის შემდეგ, არ გასულა მეოთხედი საათი, ჩვენც იქ გავჩნდით და ცეცხლის მაქრობელი კამანდაც მოვიდა.

კამანდა რომ მოდის, შორიდამ რომ შეხედო, მართლა მოაგაგონებს რომელიმე დიდი ქალაქის და კარგათ გაწყობილს კამანდას, ისე ხმაურობით და გაჩაღებული მოაქანებს ცხენებს, მაგრამ ადგილზე რომ მივა, მაშინ კი ტფილისის ცეცხლის მაქრობელ კამანდას ხედავ: უწყლო საჭყეპლებით და ხელით სახმარ ფუართლოთ.—იმათი ხელთ-სახმარი იარაღი მარტო ნაჯახში (ცულში) მდგომარეობს, რომლითაც სათითაოთ კამანდის წევრი შეიარაღებულია.

სიმართლე რომ ვსთქვათ, ამაში არ შეიძლება სრულებით თავათ კამანდის გაკიცხვა.

რაც გაეწყობა, კამანდა, არაფერს არა შურავს—არც ღონეს, არც გამბედაობას და არც სიცქვიტეს, მაგრამ რა ჰქნას, რომ არაფერი გაიდის. უწყლო საჭყეპელში რამდენიც გინდა უქაჩავე ან ასწი და დასწიო წყალს ვერ გააჩენ,—რას იზამ მარტო ერთი მოკლე ტარიანი ნაჯახით, თუ შიგ ცეცხლში არ შედი? შორიდამ რომ უმიზნო და იქნიო რას გახდები? ორი ჩანგალი რათ კმარა, როდესაც 25 სახლს ერთათ ეკიდება? კიბეები არ აქვს ტფილისის ცეცხლის მაქრობელ კამანდას, თუ აქვს, მაგრამ ვერ იყენებს საქმეში?

სირცხვილი არაა ტფილისისათვის, რომ წყალთა შუა, კუნძულზე, ცეცხლმა 25 მაღაზია ხელიდამ გამოაცალა? ტფილისის განთქმული თულუხჩები, რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ ხომ სრულებით უწყლოთ იქნებოდა კამანდა?

ცეცხლის მაქრობელი კამანდის სიღარიბე იქიდამ სჩანს, რომ საჭყეპელნი იმ სიგრძე წყლის გამყვანი ტყავის ანუ კაუჩიკის ტრუბებით ვერ არიან შეიარაღებულნი, რომ ისინი წყლის პირზე ჩაეტანათ და იქიდამ ამ მინებით წყალი ექაჩათ, ამოეყვანათ.—ეს არის ერთი ადგილი, სადაც საზოგადო წყლის გაუყვანლობა ტფილისში ყველას აეწყდებოდა, მაგრამ—მაგიერათ, აქ მინები არ იყო.

ერთის სიტყვით, საცოდავ მდგომარეობაში იყო კამანდა და—ამათ მიზეზით, მაღაზიების პატრონები.

ამისთანა მდგომარეობაში, რატომ მაყურებელი ხალხიდამ არ იწვევენ მომხმარეს, ან ვისაც ჰსურს და მიიწევა დასახმარებლათ, რატომ ნებას არ აძლევენ? ერთი უმთავრესი სიმარჯვე ყოველი ცეცხლის მაქრობელი კამანდისა ისაა, რომ—თუ ცეცხლი ხშირ შენობებთ შორის გაჩნდა და ის სახლი, რომელსაც ეკიდება, არ შეიძლება იპატიერონ, მაშინ ახლო-მახლო შენობები უნდა მოაშორონ, დანგრიონ, რომ ცეცხლმა ადგილი არ მიიცვალოს. ახლანდელმა მაგალითმა დაგვარწმუნა რომ ეს სიმარჯვე ქალაქის კამანდამ ვერ გამოიჩინა.—და ვინ იტყვის იმას, რომ კარგი მარჯვე „ქალაქის ბიჭები“, რომ მი-

## ფელეტონი

ნამდვილნი დოკუმენტები შესახებ დიპლომატიურ განწყობილებისა საქართველოის და საფრანგეთის შუა, ლუდოვიკო მე-XIV-ის მეფობის ბოლოს.

(გამოღებ. პარიჟის „აზიურ ჟურნალითგან“)

ურიგო არ იქნებოდა დაგვეხატა აქ საქართველოის მდგომარეობა წარსულ საუკუნის დასაწყისში, რომ მით უფრო ნათლად წარმოგვეიდგინა,—რა უბედურება ადგა საქართველოს გარეშე ქვეყნების მონობის ქვეშ და რა მოვალეობის დავიწყება იყო საფრანგეთის მხრით, რომ მან ყური არ უგდო საქართველოის შემწეობის თხოვნას. მართალია, ჩვენ ვერ ვსთხოვთ, რომ იმ დროს ლუდოვიკოს სხვა და სხვა მიზეზების გამო დაეხსნა საქართველო. თუ ამისთანა შეხედულებას ვერ ვითხოვთ იმ დროის მეფეებისდგან,—მეორე გარემოებას მაინც უნდა ჰქონოდა ადგილი, რომლის ძალით ყოველ ევროპიელ სახელმწიფოისა და მაშასადამე იმ დროის საფრანგეთისაც საღმრთო მოვალეობა იყო საქართველოს დაცვა მისის მტრის მტარვალებისაგან, მოვალეობა, რომელიც შეასრულა შემდეგ რუსეთმა. ამ გარემოებას შეადგენდა სარწმუნოება.

ლუდოვიკოს დროს ყველა ხელმწიფეებს მიაჩნდათ თავის თავი ქრისტიანობის ეროვნულ მსახურთ, რომლის მოვალეობა უნდა ყოფილიყო ამ სარწმუნოების გავრცელება და წმინდათ დაცვა. აბა რათ არ მოეხმარეს ქრისტიან საქართველოს? რათ არ შეეწიეს მის თავისუფლებისთვის საზოგადოთ და სარწმუნოებისთვის განსაკუთრებით გამოულეველ ბრძოლაში?

საფრანგეთის ხელმწიფე იყო,—რომ პაპები უწოდებდენ,—ეკლესიის უფროს შვილათ. ვახტანგ მეფეს და სულხან ორბელიანს სწორეთ ამ სახელის იმედი ჰქონდათ. მათ იფიქრეს, რომ თვით ეს სახელი მოვალეთ ჰხდიდა საფრანგეთის ხელმწიფეს, რომ იმას საქართველოისთვის შემწეობა გამოეჩინა. მაგრამ ამაოთ დარჩა მათი იმედი.

ეს უნდა გახსენებოდა ქართველ კაცს, როდესაც დაცემულ საქართველოს შეხედვაზე ჰსთქვა:

„და დასავლეთის ქრისტეს ერნო,
თქვენ რომ შვრებოდით?
როცა ქრისტესთვის ჩვენ თვალწინა თქვენს კარს ეწყდებოდით?
. . . . . . . . . . . .
ზოგნი თვისთ მთავართ აღსრულებდნენ მონებით ნებას,
და მათ სასახლეთ, კეკლუცთ დიაცთ უძღვნიდენ ქებას.
და შვილებსაც კი ხშირად გაზრთ შავი ბეჭედი.
არ დაიდუმებს ისტორია ნუ გაქვსთ იმედი!“

ამ ბეჭედის სიშავე იმ დროს, რომელსაც ეხება ქვევით მოყვანილნი დოკუმენტები, უფრო ცხადი იქნებოდა, რომ კარგათ აგვეწონა საქართველოს მაშინდელი შინაურული ძალა და გარეშე მტრების მოქმედებანი. მაგრამ თვით დოკუმენტები იმოდენს ადგილს დაიჭერენ, რომ კიდევ მათი გადიდება შეუსაბამი იქნება ამ პატარა გაზეთში.

მხოლოდ პირველ წერილის ჰაზრის გასაგებად შემდეგი ფაქტი უნდა მოვიყვანოთ.

წარსულის საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ელჩათ კონსტანტინოპოლში იყო მარკიზი ფერიოლი (de Ferriol), რომელმანც თავის თავი განისახელა უსაქციელო ცხოვრებით. ამ დროსვე, 1705 წ. გამოჩნდა მეორე პირი, რომელმაც არა ნაკლები ცუდი სახელი დაიმსახურა; მაგრამ მისი ყოფაქცევა უფრო გამოსაცანი იყო. ამასთანავე იგი აჩენდა ყოველთვისს მოქმედებაში გასაოცარ გაბედულებას და ხასიათის ძალას. თავის დროს ამ პირმა დიდი ყურადღება მიიქცია მთელის ქვეყნისა. ვსთქვათ მაზე რამოდენიმე სიტყვა.

ეს პირი იყო ქალი მარი პტი დემულენი (Marie Petit de Moulins) მამა და პაპა მისი იყვნენ ადვოკატები. მოხსენებულს წელს ეს ქალი გამოჰყვა მარსელიდგან ჟ. ბ. ფაბრს (Fabre), რომელიც გაგზავნილი იყო ლუდოვიკოს მიერ სპარსეთის ხელმწიფის, შაჰ-ჰუსეინის წინაშე. მაშინ,—როდესაც ფაბრმა წაიყვანა ეს ქალი იმ პირობით, რომ ამ ქალს მიეღო სპარსეთში ჩასვლისა თანავე ერთი თვის შემდეგ 2000 მანეთი (8000 ფრ.),—მისი ცოლი კონსტანტინოპოლში იჯდა ფერიოლის მფარველობის ქვეშ. 1706 წ. ფაბრი და მარი პტი ჩავიდნენ ერივანში. აქ ფაბრი მოკვდა ნადირობაზე. ამბობენ ვითომ იგი ალეპოს ფაშამ მოჰსწამლაო მისის თანა მომგზავრის მიზეზითო.

მაშინვე მარი პტიმ მიითვისა ფაბრის დიპლომატიური თანამდებობა. თავის თავი გამოაცხადა საფრანგეთის პრინცესების გამოგზავნილათ შაჰის ცოლის წინაშე და ითხოვა ერევნის ხანისაგან სპარსეთში წასავალი ფული.

თავისის ხასიათის საკვირველებით, ისე მიიქცია თვით შაჰის ყურადღება, რო მან ბრძანა დაუბრკოლებლად გზა მიეცათ ამ ქალისთვის მისს სატახტო ქალაქში მისასვლელად.

როცა ფერიოლმა გაიგო ფაბრის სიკვდილი, მის მაგიერათ მან დანიშნა ერთი ვიღაც მანქანი, რომელსაც ერქვა მიშელი.

ამ დროს მარი პტის შემდეგი შემთხვევა მოუხდა. სადილზე ფაბრის შვილმა ხილი მოატანინა და ისე ჩამოარიგებინა, რომ მარი პტის არ ახვედრა. ამით გაჯავრებულმა ქალმა ჰსტაცა ხელი ბროწეულს და ესროლა ბიჭს, რომელსაც ხილი მიჰქონდა. ბიჭმა ბროწეული უცებ მიუბრუნა და მერმე გაიქცა ფიშტოს საძებრად. ამან ისეთი იყალ-მაყალი აღძრა, რომ ადგილობრივ მართებ-

-უშვათ, ნება მიეცათ, მარჯვნივ და მარცხნივ შენობებს იმ დუქნისა, სადაც ცეცხლი გაჩნდა, ხელით არ აილებდნენ? „საქონელს დაიტაცებენო“ ამბობენ. შეიძლება დაიკარგოს რამე, მაგრამ იმაში მაინც ვერავინ დამარწმუნებს, რომ მაშინ უფრო ბევრი დაიკარგეის, ვინემც ეხლა, როდესაც ისინი არ ეხმარებიან. —რა სჯობს: ის, რომ ცეცხლს ცოტა გარდარჩეს და ისიც დაიკარგოს, თუ ბევრი გადარჩეს და ცოტა დაიკარგოს? რაღა ბევრი გავაგრძელოთ: — იმისთანა ცეცხლის მაქრობელ კამანდას, როგორიც დღეს ქალაქს ჰყავს, უფრო მეტი ღონისძიება მიეცეს, უშოვეთ აუცილებელი საჭიროება — წყალი საქრობ იარაღებთან ერთად. — ამ გრძელი წინასიტყვაობის შემდეგ, ჩვენ გვაქვს სახეში ერთი სულ სხვა საფუძველზე დამყარებული ცეცხლის მქრობელი საზოგადოება და ამაზე შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

## დღიური

ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრებათ აურჩევიათ, როგორც „თფ. მოამბე“ ამბობს: ლუარსაბ ლოლუა, დავით ბაქრაძე, ლუკა ასათიანი, პეტრე ნაკაშიძე, ივანე დადიანი და ანტონ ლორდკიფანიძე.

## წერილი რედაქტორთან.

გასულ აპრილის 18 და 25 ჰქონდათ სხდომა პრიკაშჩიკების კრებას, რომელმაც მოულოდნელ კარგათ გაიარა: კამიტეტისათვის შვიდი წევრი აირჩია. —აქ სიტყვა „მოულოდნელი“ ვიხმარე, იმისათვის, რადგანაც პრიკაშჩიკების კრებათ, — წესდების შედგენის შემდეგ, — დაბეჭდილი პატიჟობის ბილეთები დაურიგა ზოგიერთ უპატრონსნეს ვაჭართ, თუ სამსახურის ხალხთ, რომელთაც სურვილი განაცხადეს და ზოგიერთ იმ პირთ, რომელნიც პატივსაცემლათ დაინახა პრიკაშჩიკების კრებამ. — მაგრამ ამ საგანში მოტყუვდა ხსენებული კრება, რადგან ეს პატივცემულნი პირნი, არა თუ არ მობძანდნენ სხდომაში, არამედ, — ხმა გამოვიდა, — ვითომც ეთქვათ, — თუ „ჩვენ ვისთან წავიდეთ, რა ჩვენი ალაგია; ჩვენ — ვინ, — ისენი — ვინ?“

მაგრამ 1) თუ თავიანთ პრიკაშჩიკების გარემოებაში არ გაერევიან, და მათ მდგმარეობის გაუმჯობესობას არ ისურვებენ, სხვაფრივ კაცობრიობა რაღას უნდა მოელოდეს მათგან. — 2) რატომ იმოდენა მოსაზრება არ უნდა იქონიონ რომ მითი ქვეშევრდომის გარემოების გაუმჯობესობით, თავიანთიც უკეთდებათ.

ამაზედ ერთ მცირე მაგალითს მოვიყვან, — ზოგიერთ პრიკაშჩიკს 15 მ. აქვს თვეში, — და მას თვეში 50 მ. არა ჰყოფნის სახარჯოთ, — სხვა შემოსვლის წყაროც არ საით არა აქვს. ეს ვითარება მის პატრონმა (ხოზიაინმა) კარგათ იცის, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. — ამ გვარი პრიკაშჩიკების გარემოების გაუმჯობესობა არა რომ პატრონისთვისაც სახეირო იყოს... ბევრი მოიპოვება ამგვარი მაგალითები ჩვენ პრიკაშჩიკების და პატრონების შორის. — ბატონებო — ძრიელ სცდებით, ის პატრონები, რომელნიც თავიანთ პრიკაშჩიკების კეთილ დღეობას არ ეძებენ, და მით მჭიდროებას შვებას არ აძლევენ. შენი ქვეშევრდომი რომ მშიერი იყვეს, და შენზედ უკმაყოფილო, რა გულით უნდა გემსახუროს იმან და ან რა კეთილი და ხეირი უნდა ისურვოს შენთვის? — ეანგარიშო პატრონებმა ჯერ ეს იკმარონ!!!

მოქალაქე.

## „დროების“ კორრესპონდენცია

შორაპნიდამ, 26 აპრილს 1876 წელს

საზოგადოთ ჩვენში, იმერეთში, ჩვეულებათ აქვსთ მიღებული ყოველ კაცს, რა წოდებისაც უნდა იყოს, რომ როდესაც მოუკვდება ვინმე ოჯახში, მაშინვე აცნობებენ თავიანთ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მივიდენ და [illegible] დანიშნულ დღეს.

დანიშნულ დროს ყველანი დაპატიჟებულნი მიდიან მოტირლებით ზოგს მიყვება ოცი — ორმოცი და ზოგს მეტი. მოტირალი და ერთი მღვდელი თავის პრიჩეტნიკით თან მიდევსთ. საწყალ ქრისტიანს ორნაირი სატირალი აქვს ეხლა: ერთი, რომ მკვდარი წინ უდევს და მეორე — ამდენი აუარებელი ხალხის გამასინძლება. შესაწევრად მიუტანებენ ერთ მანეთს, ანუ მეტს და იმასაც მღვდელი და პრიჩეტნიკი წაიღებენ და ჩვენს ქრისტიანს რაღა?... ამისთანა ჩვეულებამ საწყალ ჩვენ გლეხებს, — ვგონებ აზნაურებსაც, — დაუყენა სინათლე. თუ რამე მოეძევათ ან ღვინო, ან პური — სულ გასვენების დროს შესვამ-შესჭამენ; აბა იმას კი აღარ ფიქრობენ, — ვინც ცოცხალია — ისიც შიმშილით დაიხოცება, — რომ მის მეტი ყოველიფერი სასულადო დარჩენიათ რა!

როცა მობრუნდებიან ჩვენი მოტირლები, ამბობენ: სწორეთ კარგი ქელეხობა გაეიარეთ და ნაცვლად ტირილისა და მწუხარებისა ხანდისხან მაყრულ სიმღერასაც კი ჩაუღიღინებენ ხოლმე.

მეტადრე ამისთანა შემთხვევაში ზოგიერთნი მღვდლები აჭირებენ საქმეს:

ლობამ საჭიროთ ნახა გარეულიყო. ამის შედეგი ბიჭის დაჭერა იყო.

ამასობაში ჩამოვიდნენ ფაბრის მოსამსახურეები, რომელნიც მისს ბარგს მოჰყვებოდნენ. ამათ რომ გაიგეს მათის მოძმესი დაჭერა, მივარდნენ საპყრობილეში, დაიხსნეს და წაიყვანეს საფრანგეთის ელჩის სახლში. ეს რომ ხანმა გაიგო, გაჰგზავნა 500 კაცი ფრანციელების წინააღმდეგ. შეიქნა თოფების სროლა და ფრანციელებმა ორი სპარსელი მოჰკლეს.

ამ დროს სახლიდამ გამოჩნდა ერთი ჯეზუიტი ბონიე, რომელმაც გამოუცხადა სპარსელებს, რომ ტუსაღი დაგიბრუნდებათო, — მაგრამ უკანასკნელნი ამას არ დაჰსჯერდენ, — უნდოდათ მაგიერი გადაეხადნათ. მართლაც, მათ მოჰკლეს ორი სომეხი, რომელნიც იყვნენ ფრანციელებისკენ. თვით ჯეზუიტსაც მოჰკლავდენ, რომ მარი პტის არ მოესწრო. ეს ქალი მივარდა ხანთან, დაუჩოქა და უთხრა, რომ თუ ყველა ფრანციელებსა და ჯეზუიტს არ გამოიხსნით, მე ჩემს თავს მოვიკლავ ახლავეო. ხანმა მაშინვე ჰბრძანა მისის თხოვნის აღსრულება.

ამის შემდეგ მარი პტი მირბის ისპაანისკენ. თავის მხრით მიშელიც იქეთკენ მიიჩქარის. მაგრამ ქალმა მიასწრო, და აუდენცია მიიღო. მიშელმა კი ჩამოსვლისთანავე ვერ წარედგინა მართებლობას, რადგანაც წარმომადგენელი ქაღალდები არ ჰქონდა. დიდ ხანს იცადა ამ მდგომარეობაში და ბოლოს, როგორც იყო, მოუვიდა ქაღალდები. მაშინ არავითარი საშუალება არ დაჰზოგა მან მარი პტის სპარსეთიდამ გასასტუმრებლად.

ამისთვის სხვა და სხვა პირებთან წერილებიც კი დასჭირდა, მაგალითებრ საქართველოში ვახტანგთან და კონსტანტინოპოლში ფერიოლთან.

მართლაც მარი პტი გაემგზავრა ორის ფრანციელით საქართველოსკენ; — სადაც ჩამოვიდა აგვისტოში 1707 წ. ზოგიერთების სიტყვით იგი აქ კარგათ იღჯებოდა, — სხვების სიტყვით კი ძლიერ უსაქციელო ყოფა-ცხოვრება გამოიჩინა. იმავე წელს, სეკტემბერში მარი პტი წავიდა ახალციხეს, სადაც კარგად მიღებული გახდა ფაშის ცოლისგან. ამან გაატანა რამოდენიმე გამყოლი კონსტანტინოპოლში, სადაც მარი პტი დარჩა რვა თვე. ამის შემდეგ, 1709 წ. იგი ჩავიდა მარსელში. ხოლო მმართებლობის განკარგულებით იქ იგი დაატუსაღეს. მარი პტიმ წარარდგინა კანონიერათ დამტკიცეაული ქაღალდი, რომლის ძალით მას ერგებოდა ფაბრისაგან 8000 ფრანკი. მაგრამ არავინ იცის — მიჰსცეს მას ეს ფული, თუ არა.

მაშინ დაიწყეს მარი პტის მტრებმა და განსაკუთრებით მიშელმა მისის ყოფა-ქცევის კიცხვა. მაგრამ ქალს არც ერთი მათი გამტყუვნება უპასუხოთ არ დაუტოვებია. თავის ყოფაქცევის გასამართლებლად იმან გამოაცხადა ერთი ვახტანგის წერილი საფრანგეთის ხელმწიფესთან. თვით ქართული დედანი მას არ გამოუცხადებია და ამიტომ სხვებმა უპასუხეს, რომ ეს წერილი გამოგონილი იყოვო. მართლაც წერილის შინაარსი ამართლებს ამისთანა ეჭვსა; ამიტომ ჩვენ იმას არ ვთარგმნით აქ.

მაგრამ აი მეორე წერილი, რომელიც მართლა მიუწერია ვახტანგს ფერიოლისთვის:

„ქ: ღმერთისა ერთარსებისა, და სამებისა წმინდისა მოსავნი და მადიდებელნი, და უბიწოდ მშობელისა მისისა, ქალწულისა მარიამის საკუთარნი, და წილ-კდომილნი, და მისმიერ ძლევა შემოსილი; უფლისა და მეუფისა ჩვენისა იესოს ქრისტეს კვართსა და სვეტსა ღვთაებრივ აღმართებულსა ზედან აღშენებულს, დედა-ქალაქსა შინა, აღმაღმებულის მცხეთის ეკლესიის მქონებელი, და სამაროვნოდ მჭირავი, დიდისა წინასწარმეტყველის დავითისა, და ძისა მისისა სოლომონის ტომნი, და რტონი ბაგრატოანი, ძე ქართველთა მეფისა, და აწცა ბიძისა ქართველთა მეფისა მაგიერ გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ, მოგიწერ შენ, დიდისა და აღმაღლებისა ხელმწიფისაგან ღირსებით ცნობილსა და სამართლად შეყვარებულსა, კაცსა მის — მიერ გამორჩეულსა, და მისნდოდ ხვაშიადთა შემნახავსა, ყოველთა სიბრძნეთა აღზრდილსა, და სამღვთო საგროს ზნეობის მქონებელსა, დიდისა და ძლიერის ფრანგსის ხელმწიფის ელჩსა ბატონს მარქიზ დე ფერიოლეს, მოკითხვას, მშვიდობას და სიყვარულს ყოვლისა კეთილობისათსა (sic). მერმე, ეს მოახსენეთ, ეს თქვენის ხელმწიფის საბატონოდამ წამოსული ქრისტიანი დედა-კაცი აქ ჩვენს საბატონოში მოვიდა, და მანდ წამოსასვლელის გზის შოვნას შემოგვეხვეწა. აქ რომ ბედნიერს ყეენთან თქვენი ელჩი არის, იმასაც წიგნი მოეწერა, „გზა უშოვნითო, თქვენი კაცი გაატანეთო“. ჩვენ ამ დედაკაცის საქმე მოკითხული ვქენით; ქრისტიანი და კარგი ნამუსიანი დედაკაცი ყოფილა; ერთი ჯიზვიტი პატრი, დასხვა მრავალი ქრისტიანი ფრანგები ერის კაცნი სიკვდილს მოურჩენია. ამისთანას კაის დედა-კაცობით ყვლია და ახლა მანდ გვიახლებია. თუ ვისმე მტერობით ამისი ურიგო ამბავი მოეხს ნებინოს ვისმე, ნუ დაუჯერებთ. და ერთი წიგნი ამაღლებულს ფრანგსისის (sic) ხელმწიფესაც აახელით, რომე ჩვენის გულისათვის ნურას უწყრომებენ. ჩვენი ერთგული და მისანდო ყმა ნერსესა გვიახლებია, და, მანდ რომ გიახლოს, მერმე ისრევ აქ გამოისტუმრეთ.“

ვახტანგ.

ადრესზე აწერია:

7: ფრანქსიზის ხელ-მწიფის ელჩსა მარქეს დე ფიროოლეს ქალაქსა შინა კოსტანდინოპოლის მივიდეს, ქრისტეს აქათ ათას შვიდ ას და შვიდსა.

ბეჭედზეა: „რტოდ ვარ დავითის ძველთა დავითის ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძე.“ ამ წარწერილობის აზრი ძნელია, როგორც ვხედავთ. მისი

ამ მდგომარეს თევეში საწყალ ერთ ჩვენებურ გლეხს მოუკვდა ვაჟი, რომლის მეტი არ ჰყოლია არც ვაჟი და არც ქალი. მის გასვენებაზე საიდამ არ მოვიდნენ მღვდლები; ქრისტიანე კიდევაც ვერ ცნობდა სადაურნი იყვნენ. ნათქვამია: „სტუმარი სტუმარს პატიჟებს და მასპინძელს ორნივე სძულსო“; ასე ემართებათ მათ. სხვათა შორის ერთმა მახლობელ სოფლის მღვდელმა, მიილო თუ არა ერთი მანეთი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად, მაშინვე შინისკენ წამოვიდა თავის პრიჩეტნიკით. გზაზე შეიტყო, რომ ერთ მახლობელ, წყალ გაღმა, სოფელში ვიღაც კეთილშობილის გამოტირილი აქუსთო. მღვდელმა იქ მისვლაც დააპირა, მაგრამ—მისდა საუბედუროთ—მდინარე მოდიდებული იყო; ნავი თუმც იყო, მაგრამ მენავე შორს იყო. მღვდელმა უთხრა პრიჩეტნიკს: მოდი ჩავსხდეთ ნავში და გავიდეთ, მაგრამ პრიჩეტნიკმა უარი უთხრა: მე ნამდვილად ვიცი, რომ შენ მენავობის არა იცირა და შეგიძლიათ ჯერ თქვენ შინჯოთ და თუ გახვალთ მერმეთ მეც გამიყვანეთ. მღვდელმა ბევრი აღარ დააყოვნა, შემოიკარწახა ანაფორა, ჩაჯდა ნავში; პატარაზე კი ატარა მერმეთ ნავი თავდალმა დაექანა. შეშინდა მღვდელი,-სწორეთ ჩემი აღსასრულის დღე მოვიდაო,-თავმოძულებით გადახტა წყალში ეგონა გაცურავდა, მაგრამ ჩვენი მენავე ქვეშ მოიდვა ნავმა; ქუდი და ჯოხი წყალმა წაართვა. პრიჩეტნიკი კი მისძახის: მოუსვი, მღვდელო, ნუგეშინია; მაგრამ ვის ესმის. მღვდელი ხანდის ხან ამოყოფს თავს წყლიდამ; ამ დროს მოეშველენ რამოდენიმე კეთილი ხალხი და გამოათრიეს გაწუმპული მღვდელი. მეგონა თუ შინისკენ წავიდოდა, მაგრამ ესგაწუმპულიმღვდელი კიდევიქით გაექანა სადაც ტირილი იყო, მაგრამ... მანეთის ადგილას ორი აბაზის მეტი კიარ მისცეს!... საწყალი, რომ დამხჩვალიყო, ხომ ის ერთი მანეთიც ოხრათ დარჩებოდა?

არ იქმნებოდა ურიგო ჯერ აქამდისაც და შემდეგში მაინც ამისთანა ზოგიერთები მღვდლების მოქმედებას, ვისიც რიგია ყურადღება მიექციოს და ჯეროვანი დარიგებაც მისცენ...

სანახშირელი.

# რუსეთი

ამ დღეებში გარდაცვლილან,—როგორც „Თფ. მოამბე“ ამბობს,—შესანიშნავი მატემატიკი და აკადემიკი სომოვი და კიევის მიტროპოლიტი არსენი. მიზეზი დამბლა ყოფილა.

* * *

გაზეთს „ხმას“ გაუგონია, რომ ამ მოკლე დროში Ციმბირში კიდევ ერთი საგენერალგუბერნატორო დაწესდება, რომლის ქალაქად იქნება ბლაღოვეშჩენსკი.

* * *

„Ახალის Დროებას“ გაუგონია, რომ რუსეთის შესანიშნავი მედიკი (ექიმი) ბოტკინი მორდვინოვის ქვრივს ირთავს ცოლათ.

# უცხო ქვეყნები

ამ ჟამად საფრანგეთში გარდაიცვალა ერთი შესანიშნავი რესპუბლიკელ მწერალთაგანის—Ლუი-ბლანის ცოლი, რომლის განსვენებაზე დაესწრო აუარებელი ხალხი. პარიჟის მუშებმა ამ დღეს მიატოვეს თავისი სამუშევარი და პატივის ცემით დაამშვენეს ამ განთქმულ კაცის ცოლის კუბო. საფლავზე ჯერ სიტყვა ჰსთქვა პროტესტანტის პასტორმა Დიდმა და შემდეგ დაუთმო ვიქტორ-ჰუგოს. პოეტი ერთობ აღელვებული იყო; ის იყო ისეთს მდგომარეობაში, როგორშიაც შეიძლება იქნეს კაცი, როცა ის ჰკარგავს თავის საუკეთესო და პირმშო ახალგაზდა შვილს. გული ელრღნებოდა ვიქტორ ჰუგოს, როცა მას მოიგონებდა. „რაც—მომაგო მე Ლუი-ბლანმა,—მეც მით მივაგებ,“ ჰსთქვა ვ. ჰუგომ. „მე მინდა უთხრა უკანასკნელათ მ შ ვ ი დ ო ბ ი თ ამ ერთგულს მეგობარს, ამ ქალს,—რომელიც იყო Ლუი ბლანის ანგელოზი—მფარველი. Კაცი შრომობს, ჰქმნის, იკვლევს, სთეს, მკის, აჩენს და არღვევს, ჰაზრონებს, აკვირდება; ქალი ეტრფის კაცსს. რა არის ამ ტრფიალების მიზეზი? Კაცის ძლიერება. მუშაკი საჭიროებს მეგობარში; რამოდენათაც მაღლა სდგას მუშაკი, მით დენათ უმანკოდა წყნარი უნდა იყოს მისი მეგობარი. Ოჰ, ჩვენ უნდა ღრმათ პატივს ვსცემდეთ ქალს. Უნდა ვაკურთხოთ და ვადიდოთ იგი. Ქალი არის კაცობრიობა დაწყნარებულის მხრით. Ქალი არის სახლის ბოძი, ეს არის ოჯახი, ეს არის წყნართ იდეათ ცენტრი (გული). Ეს არის ნაზი მრჩეველი უმანკოს ხმით მაშინ, როცა ჩვენ გარემო გვაღელვებს, გვძრავს და გვიტაცებს. Ხშირათ მტრის მეტს ვერავის ვხედავთ ირგვლივ. Ქალი კი მეგობარია. Ოჰ, დავიცვათ ქალი; მივაგოთ მას ღირსეული. Მივსცეთ მას კანონის წინ ის ალაგი, რომელზედაც მას უფლება აქვს. Ვადიდოთ, მოქალაქენო, ეს დედა, ეს და, ეს მეუღლე. Ქალში არის სოციალური მიზანი და საიდუმლოება კაცობრიობის. Სახით—თითქო უძლრესი სისუსტის წარმომადგენელია ქალი, მაგრამ არა: მასში არის დიდი ძალა. Კაცი, რომელსაც მრთელი ხალხი კისრათ აწევს, საჭიროებს ქალის შემწეობას; და როცა გეაკლდება მისი შემწეობა—გეაკლდება ყოველივე“.

— Ლუი-ბლანის ცოლი იყო შთამომავლობით ინგლისელი; გაჰყვა Ლუი-ბლანს 1865-ში Ლონდონში. Ლუი-ბლანს შვილები არა ჰყავს.

—

ამჟამად—ამბობს გაზეთი „Ახალი Დროება“—ვენაში იყო კონფერენცია მხედრობის შეიარაღების მ ო ს-

---

ახსნა ჰსჯობს Თეიმურაზ ბატონიშვილს ვკითხოთ (*)

Აი როგორ ახსნას იძლევა ჩვენი ქართველ ძველობის ზედმიწევნით მცოდნე. ქართველ მეფეებს ჩვეულებათ ჰქონიათ თავიანთ ბეჭედზე რამე ლექსი დაეწერათ და მაში გამოეთქვათ რამე ანდაზა—ანდა ზმა. Გამოცანაში ჰაზრი გამოსაცნობელი იყო და ზმაში ორნაირად გასაგებელი.

Სხვათა შორის აი ამის მაგალითები: Თეიმურაზ მეორეს ბეჭედზე ეწერა:

„Უფლისა მიერ ცხებული
Თეიმურაზ ზის დამტკიცებული“

Მეორე ტაეპში ორი ჰაზრია, ერთი, რომ ქაღალდი, რომელსაც ასეია ბეჭედი,- დამტკიცებულია Თეიმურაზის მიერო. Მეორე ის, რომ Თეიმურაზი მაგრაზის ტახტზედო.

Ერეკლე მეორეს ბეჭედი ამბობდა:

„Მე ფერხთ განბანილთა მიერ
Ერ ეკლესია ვადიდე“

Აქ მხოლოდ ერთი ჰაზრია. Მაგრამ ზოგიერთნი მარცვლები ორჯერ იხმარებიან, ასე რომ პირველი ორი მარცვალი შეარდგენენ მეორედ „მეფე“ ს: მეორე ტაეპის სამი წინა მარცვალი იმავე შემთხვევაში გამოჰსთქმენ „Ერეკლე“ ს.

Ამსახით ამ წარწერილობის ჰაზრი არის: მე, მეფე Ერეკლემ, ფერხთ განბანილთა მიერ ერ-ეკლესია ვადიდე. Ფერხთ განბანილები—წმ. მოციქულებს რქვიოდა. Მაშასადამე Ერეკლე ამბობდა თავის ბეჭედზე, რომ მეო წმ. მოციქულების შემწეობით ან იმ სარწმუნოებით, რომელსაც იგინი ჰქადაგობდენ, ერი და ეკლესია ვასახელეო.

(*) Ეს დოკუმენტები დაბეჭდინა Აზიურ ჟურნალში უფ. ბროსემ.

Ახლა მივუბრუნდეთ Ვახტანგის ბეჭედს.

„რტოდ ვარ და ვით ის
ძველმა Დავითის“

Ამის შინაარსი ორ ჰაზროვანია: Ვახტანგი ამბობს, ვარდის რტო ვარ, როგორც ის დავით,—რომლის შთამომავალი მევარო. Მეორე ტაეპს კიდევ ეს ჰაზრი აქვს: „Დავითის რტო ვარო“—„რტოდ ვარ დავითის.“

„Ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძე.“ Ამის გაგება ადვილია: ამდროს Ვახტანგ არ იყო ნამდვილი მეფე, არამედ სხვის მაგიერ განაგებდა სამეფოს. Ამ მიზეზით იგი უწოდებს თავის თავს მხოლოდ მეფის ძეთ, ე. ი. ბატონიშვილათ.

II Ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს პ ა ს უ ხ ი Ლ უ დ ო ვ ი კ ო მ ე XIV-ი ს წ ე რ ი ლ ზ ე, წ ა რ დ გ ე ნ ი ლ ი 1714 წ. მ ა რ ტ შ ი ს ა ბ ა Ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მ ი ე რ. (2)

„Უდიდესს, უმაღლესს, უახოვანესს ხელმწიფესს, რომელიც თვისის იარაღის ძალით უმორჩილებს თავისს ძლიერებას ყველა დანარჩენთ ხელმწიფეებს.“

„Უმაღლესო, უდიდესო და მთელის ქვეყნის მოსაწონარო; მზეო, თქვენის სინათლით ანათებთ სხვა მთავრებს; თქვენ ხართ მათ შორის, რაც რაც მზეა ვარსკლავთ შორის; თქვენ ვერავინ გედარებათ; მტრები ხელში გიპყრიათ და არავის არ შეუძლია თქვენი წინააღმდეგობა.

„ჩვენ Ვახტანგ, ქართველთა მეფე, დიდის მოწადინებით ვეძებთ შემთხვევას თქვენის სამსახურისას; დიდის მორჩილებით მოგახსენებთ ჩვენს პატივსცემას და, რამდენადაც ღირსი დავრჩებით, ვბედავთ მოგიწეროთ დიდის კრძალვით.

(*) Ქართული ტექსტი არ არის. Ეს ჩვენ ვთარგმნით ფრანცულიდგან.

„წერილი, რომლითაც თქვენ ფრიად პატივი გვეცით, მოგვივიდა 25 აპრილსა. Იმ წერილმა ისე გვასიამოვნა, რომ სიტყვით გამოთქმა ძნელია. Ეს სიამოვნება გაგვიორდა, როცა შევიტყეთ თქვენნი ძლევანი და დიდება, რომელიც ახვევია თქვენს უმაღლესს ტახტს. Ჩვენ მრავალი მადლობა შევსწირეთ უმაღლესს ეპისკოპოსს Გალიკცონს, რომელმაც კეთილად მოიწერა ჩვენზე; თქვენს უდიდებულესობას არ განუკიცხავს—რაც ჩვენ გვინდა ვქმნათ და ვიქმთ ყოველთვის, როდესაც გვექნება შემთხვევა, რომ დაგიმტკიცოთ ჩვენი უმორჩილესი მადლიერობა ვისურვებთ, რომ მისი უდიდებულესობა ამაზე დარწმუნებული იყოს; თუმც ჩვენ ჩავარდნილი ვართ ურწმუნოთ ხელში, რომელთა მოატყუევს ჩვენნი წინაპარნი, თუმც ჩვენ ვართ აქ მოკლებული ყოველს ღონისძიებას,-როგორც Ისრაელები უცხო ხალხის შორის,—ჩვენი მამების ცოდვებისთვის,-მაგრამ ჩვენი შვილები და ძმები, რომელნიც განაგებენ ჩემ საბატონოში, იქმენ ბეჯითად და დიდის სიერთგულით სუყველას,-რასაც ჩვენ ვუბრძანებთ თქვენის უდიდებულესობის სამსახურისათვის; ოღონდ თქვენ გვაცნობეთ როდესაც ჩვენი სამსახური საჭირო იქმნება.“

„ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ.“

III ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა Ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს წ ე რ ი ლ ი, უ ფ. პ ო ნ - შ ა რ ტ რ ე ნ თ ა ნ, რ ო მ ე ლ ი ც ი ყ ო Ლ უ დ ო ვ ი კ ო მ ე XIV-ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ი ნ ი ს ტ რ ი.

ბატონო!

.ჟ. ბრძენო და მეცნიერო, ღმერთმან დიდი მეფე დაიცვას, და შენ დღენი კეთილნი მოგცეს. მე სულხან საბა Ორბელიანი ამ წიგნს გწერდა ამას გაცნობებ, თქვენის მაღლის მეფის ბრძანებითა, წყალობითა და ნიჭითა, აქ დიდს ქალაქს Პარიზს მოვედით და მეოთხე (*) Ვახტანგ, ქართველთ მეფის პასუხები დიდებულთანაცა, და თქვენთანაცა მოგიტანე. როდესაც გინდათ, თქვენთან მოვალ და მადლსაც გარდაიხდი, რომ ორნი პატიოსანი თქვენი მოსამსახურე მოგვეგებინათ, და ალერსები და მოკითხვა შემოგვეთვალათ, და წამოგვიძღვეენ, და დაგვასადგურეს.

„ჩემთან უფალი მუსუ რიშარ მღვდელი არის, რომ ქართლიდამ ამან მომიყვანა; რა Ვახტანგ ეს შეისწავლა, დიად გაეწყო; ამისთვის ეთქვა თავის პასუხები. რადგან ამან Უიზილბაშური-თათრული კარგათ იცის, ამის სიტყვას უკეთ შეიტყობ, და ჩემსა ეს შეიტყვებს, და ჩემი საქმე, და სანდომი რაც არის, ამან ყველაკა იცის; და თუ უბძანებთ, ყველაკას ეს მოგახსენებს, და გაგისინჯავენებს.

„ბატონი Ითანდან (**) დიდებული მარცილიას (***) რომ არის, მისი დიდად მადრიელი ვარ, რომ საქართველოს საქმეები მუსუ რიშარით დაგვაწერინა და გაახლოთ. Თუ აკლია რამე, მზა ვართ, და გავაკეთებთ. Ამ პატიოსნის Ღმარასი დიდად მადრიელი ვართ, მრავალი გვამო გზაზედააწე გუმართებს, რომ თქვენ შემოგავედროთ.

„სულხან საბა Ორბელიანი.“

Მარტს: 23 (3) 1714 წ.
Პარიჟი 1 მაისი 1876 წ. Ა. Ჵ.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

(* Ამ რიცხვში საბა Ორბელიანი შემცდარია.
**) Intendant
*** Marseille

პ ო მ ა ზ ე დ ს ა ზ ო გ ა დ ო თ. ეს-პანიის კორტესების დეპუტატმა მარ-კოარტუმა, — რამოდენიმე კითხვის შემდეგ, მიიღო პასუხათ:

ა ნ დ რ ა შ ი. მე ვიცი, რა აზრე-ბის წარმომადგენელთაც მობრძანე-ბულხართ. თქვენ გინდათ მხედრო-ბის შეიარაღება მოისპოს და ჯარის რიცხვი შემცირდეს. ამაზე ჯერ ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

მ ა რ კ ო ა რ ტ უ. ამ შემთხვევაში სათათრეთი კარგ საშუალებათ შეი-ძლება ცხმაროს კაცმა, მოსახერხე-ბელია თუ არა, ამ აზრის სისრულე-ში მოყვანა.

ა ნ დ რ ა შ ი. ჩვენ უამისოთაც მაგ მიზანს ველტვით და,—რომ ომი არ მოხდეს,—ევროპა მედიატორეთ ჰხდება.

მ ა რ კ ო ა რ ტ უ. ეს კიდევ ის არ არის, რაც ჩვენ სახეში გვაქვს; დიპლომატიური გარევა და სახელ-მწიფოების მოციქულობა არ არის მედიატორული გასამართლება.

ა ნ დ რ ა შ ი. ჩვენ გვსურს მედი-ატორულის წესით გათავდეს, მაგრამ სათათრეთი და აჯანყებულები არ არიან თანხმანი.

მ ა რ კ ო ა რ ტ უ. მისთვის, რომ მათ ჯერ კიდევ საკმაოთ არ ესმისთ.

ა ნ დ რ ა შ ი. მე თქვენ გარწმუ-ნებთ, რომ,—რაიცა შეეხება ჩემს პირადს აზრს,—მე მშვიდობიანობას უფრო მაღლა ვაყენებ, ვინემ ძლევა შემოსილს ომს; ამას ამტკიცებს ჩემი სრულიადი პოლიტიკური მოქმედება.

# განცხადებანი

გამოვიდა ახალი წიგნი

**კითხვა—მიგება**

გამოცანას მინაგვარი საუბარი ქარ-თულ ანბანის რიგზედ.

შედგენილია ქ. ნათიშვილისაგან და ისყიდება მ. ხელაძის სტამბაში.

ფასი 3 კაპ.

(1—1)

I.

თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კო-მიტეტის თავმჯდომარე—წესდების § 43 ძალით აცხადებს, რომ საზო-გადო კრება ბანკის დამაარსებლები-სა დაიწყება 17 მაისს. სხდომანი მოხდებიან თვითვე ბანკში

კრებათ საგნები

1) წარსულ დროების ანგარიში ზედამხედველი კომიტეტისა

2) მომავალი სამის წლის გასავა-ლის განხილვა.

3) ზედამხედველ კომიტეტის მოხ-სენება ზოგიერთ ეხლანდელ კითხ-ვებზე.

4) შეცვლა და დამატება ზოგიერთ წესდების პარაგრაფთა.

5) ზედამხედველი კომიტეტის წევ-რების ამორჩევა და ბანკის მმართვე-ლობისა.

II.

თფილისის აზნაურობის საად-გილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომმიტეტის თავ-მჯდომარე აცხა-დებს, რომ კომიტეტმა 20 აპრილის სხდომაზე, საზოგადო კრების მინ-დობილობით, გარდაწყვიტა, რომ ბან-კის დამაარსებელთ,—რომელთაც არ-ექნებათ ღონის ძიება მოსვლისა მო-მავალს საზოგადო კრებაში,—შეუძ-ლიანთ სხვათ გადასცენ თავისი კენ-ჭი, შემდეგის წესით.

1) მარწმუნებელი უნდა იყოს ბან-კის დამაარსებელთაგანი

2) არავის არა აქვს უფლება იქო-ნიოს რწმუნებით ერთის ხმის მეტი და 3) ვექილობა უნდა იყოს დამტ-კიცებული ნოტარიუსის წესით და წარდგენილი ბანკის მმართველობაში არა უგვიანეს 14 მაისისა.

თფილისის თავად-აზნაურობის სა-ადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აც-ხადებს, რომ—ბანკის წესდების § 37 საფუძლის ძალით, აღარ მიეცემათ მოკლე ვადიანი სესხი თფილისის უეზდის თავად-აზნაურობას, ვინაიდ-გან დღემდის გამოტანილი მათგან მოკლე ვადიანი სესხი აღემატებაის იმ ფულს, რომელიც მათ შეუტა-ნიათ ბანკში.

(3—3)

დაიბეჭდა და გამოვიდა „ზმა“ ანუ „ოხუნჯობა“ ალფავიტის წესით ან-ბანზედ შედგენილი.

ალექსანდრე ქლისბარის ძის ნა-თიევისაგან.

ფასი ერთი შაური



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებუ-ლია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ფაბ-რიკაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეულებითს ქინო-ლგიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პ ო მ ა დ ა უ ც დ ი ა ბ ე ვ რ ს გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ე ქ ი მ ო ბ ი ს მ ც ო-დ ნ ე ს და რეკომენდაციის წიგნი აქვს



ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. პლეჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვი-საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმავრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმი-სი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

უველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემუ-ლესის პუბლიკის სასარგებლოდ.

**ფასი ბანკისა 2 მანეთი**

უოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პ ო მ ა დ ა

„PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამ-გონს აქვს პატივი განუცხადოს საზო-გადოებას, Pasta Ev-genie ისყიდება **თფი-ლისში** ლანკოს მუ-ზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არ-წრუნის ქარვასლაში, **ვლადიკავკაზში** — სეგალთან და **სტავ-როპოლში** კურილ-



ჩენკოსთან, სადაც ის-ყიდება სხვა აქ მო-ყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმა-რების შემდეგ, ლა-ქები, ჭორფლი, ქერ-ქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულს სიშავე სრულიად ი-კარგება და მსწრაფ-ლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძ-ლევა. უველაზე უფრო ეს პამადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტა, არის ვენის ქიმიის პროფესორი პლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავა რობის მოწმობა.

**ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.**

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

უოველ პამადის ბანკას, რო-გორც თმისთვის აგრეთვე „Pas-ta“-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. უიდვის დროს ამას ყუ-რადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამო-სადეგია აგრეთვე იმათთვის, ვი-საც ხორცის კანის ავათ-მყოფობა არა აქვს, მაგ-რამ ჰსურს, რომ წმინდა



ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და უე-ლზე. BERTHAE RIES.

ხ ე ლ ი ს პ ა მ ა დ ა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებუ-ლებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

**ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.**

**თმის საღებავი**—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

**ტოკაის ბალზამი**—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—16

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, დილით.

ოდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყო-ველ დღე, კვირას გარდა. ოზურ-გეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ. უოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ: უოველგან ყოველ დღე, კვი-რას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 9 აპრილს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 6 | |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 226 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 217 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 88 | — |
| მოსკოვის (5%) | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეც. გემების | 560 | — |
| კავკასის და მერკურის. | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 22 აპრილს | | |
| პური შოთაგალის ფთ. | — | 90 |
| ქერი ფუთი. | — | 55 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 63 |
| —ცხვრისა, ლიტრა. | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. | 6 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| უაგა გრგვალი ფუთი | 22 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 6 | 15 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Мая 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.